დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრები:

მზია ბაკურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405337880

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

გეგმიური ☐

არაგეგმიური ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ☐

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 02 აგვისტოს № MES 7 24 0000939401 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 114 პროფესიულ სტუდენტამდე (50 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამით აპლიკანტების მხრიდან განსაკუთრებით დიდი დაინტერესება. დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დროს უკვე რეგისტრირებული იყო 182 აპლიკანტი. ამასთან, მაღალია დასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 13 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფარმაცია(სააფთიაქო)	64	60	3	49

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ფარმაცია(სააფთიაქო)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)შეუფერხებლად განხორციელებისათვის მოიძიოს შესაბამისი პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის და გააფორმოს ხელშეკრულება/ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სწავლი შედეგების მისაღწევად გათვალისწინებულ მატერიალურ რესურს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა მიერ მომზადდა დასკვნის პროექტი, რომლის პასუხად დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც კოლეჯი დაეთანხმა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს და დანართის სახით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული(№ 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად დაგეგმილია სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისი მოდულების მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესრულება დაგეგმილია 15.08.2024 - 30.10. 2024. ვადაში.

ექსპერტებმა გაითვალისწინეს კოლეჯის წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და და ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქ. №80
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	114 კოოპერაციული
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	64
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IIავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ: შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი" საგანმანათლებლო საქმიანობას ,,ფარმაცია(სააფთიაქო)"ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქ. №80 -ში მდებარე შენობა - ნაგებობაში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ,,ფარმაცია(სააფთიაქო)"ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. კოლეჯს აქვს: **4 B სასწავლო გარემო** (ოთხი კომპიუტერული კლასი(20+25+12+16= 73 პროფესიულ სტუდენტზე), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), **2 A გარემო** (თითოეულ გარემოში არის 40 სამუშაო ადგილი (40+40=80 პროფესიული სტუდენტისთვის და მასწავლებლის სამუშაო მაგიდა), **1 A გარემო** (გარემოში არის 20 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მასწავლებლის სამუშაო მაგიდა), **1 A/C სასწავლო გარემო** (40 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით) და **3 C გარემო** (1 **C გარემო** -აფთიაქის მოდელით ; 2 **C გარემო** -გარემოში დამონტაჟებული სპეციალური გამწოვი მოწყობილობა სპეციალური სამუშაო მაგიდით, რომელიც ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) უნდა უზრუნველყოფდესს სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. ასევე კონდენციონერი და მაშრობი კარადა.**3 C სასწავლო გარემო**-ქიმიის ლაბორატორიისთვის,სადაც ლაბორატორიულ სამუშაოებზე შესაძლებელია იმუშაოს 16-მა პროფესიულმა სტუდენტმა. შესაბამისად, ერთდროულად შესაძლებელია 32 სტუდენტის სწავლება სწორად შედგენილი სასწავლო გეგმის, აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით). AC გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით.

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს, „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამისათვის გათვალისწინებული სასწავლო ფართები და მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი. დარგის ექსპერტის მიერ კი გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების ფლობა და მდგომარეობა.

„ფარმაცია სააფთიაქოს“ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის ნაწილის A/C გარემოში განსახორციელებლად საჭიროა ლაბორატორია აღჭურვილია ინვენტარით: გრადუირებული გამზომი ცილინდრები - სხ|სხ ტევადობის, ხელის და ტექნიკური სასწორები - საწონებით, შტანგლასები, კოლბები, როდინები სასრესით, ფსიქრომეტრი, ბარომეტრი, ანემომეტრი და სხვა ქიმიური ჭურჭელი.

თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული უსაფრთხოების მანიშნებელი და უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში განკუთვნილია პროფესიული სტუდენტისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პრაქტიკის ბაზების დათვალიერება ვერ მოხერხდა . პრაქტიკის განმახორციელებელი პირების ონლაინ გასაუბრებისას კი დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა სტუდენტის მიღებაზე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი განისაზღვრება 114 პროფესიული სტუდენტით, რაც შესაბამისობაშია კოლეჯის მატერიალურ რესურსებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქო) ითვალისწინებს რვა პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია:

1. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (2 კრედიტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“ (4 კრედიტი)
3. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ (2 კრედიტი)
4. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (3 კრედიტი)
5. „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ (3 კრედიტი)
6. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკისშერჩევა“ (2 კრედიტი)
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (2 კრედიტი)
8. „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ მეხუთე სწავლის შედეგი (1 კრედიტი).

აღნიშნული მოდულებიდან ერთ პრაქტიკულ მოდული „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (3 კრედიტი)განხორციელდება კოლეჯში, ხოლო დანარჩენი მოდულები პარტნიორ ორგანიზაციებში.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები:

1. შპს,,ელთუნი“- ხელშეკრულების (№13 30.08..2019წ.- 2025წ.01.09 წ) თანახმად მზად არის სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმებით მიიღოს 10 სტუდენტი.
2. ი/მ ,,ლია ჭიღლაძე’’-ხელშეკრულების (№14 30.08..2019წ.- 2025წ.01.09 წ) თანახმად მზად არის სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმებით მიიღოს 10 სტუდენტი.
3. ი/მ ,,მაია კაბულოვი’’-ხელშეკრულების (№15 30.08..2019წ.- 2025წ.01.09 წ) თანახმად მზად არის სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმებით მიიღოს 10 სტუდენტი.
4. შპს,,იმპექსი’’- მემორანდუმი/ურთიერთთანამშრომლობის(2022წ.13.07.-2025წ.13.07) თანახმად, მზად არის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე სააფთიაქო ქსელში ყოველ მიღებაზე ერთდროულად მიიღოს 20 სტუდენტი.
5.შპს.,,ფარმა-2019“- მემორანდუმი/უთრთიერთთანამშრომლობის (2024 წ.22.07.-2027 წ.22.07) თანახმად, მზად არის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მარნეულის სააფთიაქო ქსელში(3 აფთიაქი) ყოველ მიღებაზე ერთდროულად მიიღოს 80 სტუდენტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული ხელშეკრულებები და განახორციელეს გასაუბრება პრაქტიკის ობიეტების წარმომადგენლებთან. გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: წარმოდგენილი სამი ხელშეკრულება ერთობლივად უზრუნველყოფს მხოლოდ 30 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის სწავლება, გასაუბრებით დადგინდა, რომ ცვლებში აქვთ მეტი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, თუმცა ეს არ ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

სამივე ხელშეკრულების პირობები იდენტურია და ითვალისწინებს თითოეულ ობიექტზე 7 პროფესიული მოდულის სწავლებსა. ამათგან სამი მოდულის დასახელება არასწორადაა მითითებული. კერძოდ:პროგრამაში ცვლილებების შემდეგ (13/12/2021)არ არის განახლებული და არ არის ასახული ახალი სახელწოდებები:

- ხელშეკრულებაში მითითებულია-მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;

უნდა იყოს: „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“;

- ხელშეკრულებაში მითითებულია-მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;

უნდა იყოს: „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“;

- ხელშეკრულებაში მითითებულია-პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;

უნდა იყოს:„პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“;

ასევე არ არის დაზუსტებული მოდულების რომელი შედეგები გადის პრაქტიკის ობიექტებზე, ხელშეკრულებებს არ ახლავს საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი.ზოგადად რეკომენდებულია ხელშეკრულება შედგეს მთავრობის დადგენილება №416 2022 წლის 9 აგვისტო “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”შესაბამისად.

დანარჩენ ორ ორგანიზაციასთან შპს,,იმპექსი’’და შპს.,,ფარმა-2019“ გაფორმებულია მემორანდუმი, აღნიშნულ მემორანდუმებში საერთოდ არ არის მითითებული მოდულების დასახელება, არც თანმდევი პარამეტრები.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** და **ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც შეუსაბამო.**

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული(№ 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად დაგეგმილია სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისი მოდულების მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესრულება დაგეგმილია 15.08.2024 - 30.10. 2024. ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)შეუფერხებლად განხორციელებისათვის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის მოძიება და მათთან ხელშეკრულების გაფორმება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებულ მატერიალურ რესურს და სხვა საჭირო პირობებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამაზე „ფარმაცია(სააფთიაქო)“ მოთხოვნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 114. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ კვოტას, თუ სრულად შესრულდება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება მოთხოვნილი კვოტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები, რომლის საფუძველზეც შემოწმდა მათი პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, დატვირთვები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით .

აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ „ფარმაცია(სააფთიაქო)“ პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 4(ოთხი) + 2 (ორი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში კი -17 (ჩვიდმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათებით დატვირთვას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიანპროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვთ ონლაინ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, მიმდინარე წელს ჩართული იყვნენ პროგრამის ცვლილების პროცესში. აქვთ მოდულების განხორციელების გამოცდილება. ხოლო ერთეულ, სისტემაში ახლად შემოსულ პირებს ჩაუტარდათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები. პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გამოიკეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ მუდმივად უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სასურველია ჩაუტარდეს მეტი განმავითარებელი ტრენინგი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმახორციელებლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროგრამის განხორციელების მდგრადობის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს იმ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე, რომლებიც ახორციელებენ მოდულებს, როგორც ,,ფარმაციის“ ასევე, „საექთნო საქმის“ პროგრამებზე და დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ უშლის ხელს, რომ ერთი და იგივე მასწავლებლები დატვირთულნი იყვნენ სხვადასხვა პროგრამებზე.

პრაქტიკის ობიექტებზე მიმდინარე მოდულებს ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი. გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი სტუდენტთა სწავლებისათვის განსაზღვრავს ფარმაცევტის კვალიფიკაციის მქონე პირს და პროფესიულ სტუდენტთა სწავლება მიმდინარეობს აფთიაქში, რეალურ სამუშაო გარემოში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას უზრუნველყოფს პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, სტუდენტის ხელმძღვანელთან ერთად. აღნიშნული დადასტურებულია განმახორციელებლებთან ინტერვიუთი.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დადასტურებულია მისი დანიშვნის აქტით. ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ის არის დარგის კვალიფიციური წარმომადგენელი. პროფესიით ფარმაცევტი, აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია.

ექსპერტები გაეცნენ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

დარგის ექსპერტი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს . დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. მასთან ინტერვიუთი განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში. ასევე გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ფარმაცია (სააფთიაქო)" ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამობეჭდვა/ დასკანერება. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი და ბიბლიოთეკის წესი (https://www.mscollege.ge/images/files/pdf/bibliootekit-sargeblobis-wesi.pdf). კოლეჯს შესყიდული აქვს „openbiblio"(https://www.mscollege.ge/openbiblio/opac/)

კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკის კატალოგი, ხოლო ბიბლიოთეკარი აწარმოებს ჩანაწერებს. კოლეჯი ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "ფარმაცია(სააფთიაქო)", მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში და ასევე ჩაწერილია CD დისკებზე.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერით, კომბაინით, 6 მაგიდით, 10 სკამით. შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით სარგებლობა. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ. ფოსტაზე გაგზავნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე კოლეჯშისსსმ პირები არ ირიცხებიან.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

„ფარმაცია (სააფთიაქო)ს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. რენტაბელობის ზღვარი მითითებულია 20 პროფესიული სტუდენტი. **წარმოდგენილი გათვლებით ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთ ვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტით;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, (https://www.mscollege.ge/images/files/pdf/bibliootekit-sargeblobis-wesi.pdf)
- „openbiblio"(https://www.mscollege.ge/openbiblio/opac/)
- პროფესიული განათლების მასწავლებლების,პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები
- პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება;
- მატერიალური რესურსის შეძენის დოკუმენტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია(სააფთიაქო)" დანართით მატერიალური რესურსი

და სასწავლო გარემო;

- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი XIV. თანდართული დოკუმენტაცია

09.02.24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: